384
1915

I

ทุกตานต่าง

1915 ร.ศ.1

II

อิริยาบถ

ศ.1. 25 อาทิตย์ [ตรง?]

III

ใหม่

[illegible]

1913 ร.ศ.1

[illegible]!
[illegible]
[illegible], [illegible]
[illegible] [illegible]
[illegible] [illegible]
[illegible] [illegible].
[illegible]

[illegible]

25/X 1941 [illegible].
[illegible] [illegible]. [illegible]

ალმანახი

ბათუკა ბაკური

ფასი 5 კაპ.

„ეუთაისი"

№ 1. 1915 Წ № 1.

ახალწლის მილოცვები!

1316

ნათლღების ნომერი 6 იანვარი

მილოცვები

ალია მამუჩარის მეს

მომილოცნია ახალი წელი,
მასთან ახალი შევროს „პორთფული“,
რომ აგირჩიეს ქალაქის თავათ
და არ დაგწყვიტეს ახალ წელს გული.

——

მასთან გისურვებ, რომ შეგრჩენოდეს,
მრავალ ახალ წელს ეგ შენი „პოსტი“,
გვერდში გყოლოდეთ მოუშორებლად
ეგ ქვარიანი, ეგ შენი „დოსტი.“

——

აბა შენ იცი როგორსაც უნარს
აწ გამოიჩენ ამ ახალ წელში,
და მოგვანიჭებ „ვოდას“, „ტრამვაის“
(ამდენ ლოდინით გადავწყდით წელში).

——

თანაც რა გითხრა, იცი, ილოჯან,
ძლიერ მაკვირებს თქვენი „პორთფული;“
„აბაროტები“ გვარიანი გაქვსთ,
მაგრამ არა გაქვსთ კასაში ფული.

——

ეგ თქვენი კასა სწორეთ წააგავს
შაქრის გამყიდველ ქებაძის კასას,
„აბაროტები“ თქვენებრ ბევრი აქვს,
მაგრამ ჯიბეში კაპიკი არ აქვს.

——

ამიტომ გირჩევთ იღონოთ რამე,
და ანალიზი უქნათ „უპრავას“
და თუმცა შესძლებთ ამ დიად საქმეს,
მაშინ შეგძახებთ ყველანი „ბრავას“.

——

თუ რომ ახალ წელს, ახალის ძალით,
არ შეეგებე, არა გაქვს შველა.
თუმც ახალს უნარს არ გამოიჩენ,
იცოდე რომ გაგკიცხავს ყველა.

——

კარგათ გაიგე, ჩვენო ილუშავ,
თვით მართველობა კომერციაა;
მუქთა ხორებსა კარებს რომ უღებ,
რომ გაკოტრდებით რათ არ იცია.

——

ეს მოლოცვები და დარიგება
მიიღე ჩემგნით ჩვენო ილუშკა,
იცოდე კარგათ ქალაქს თაობა
აწ არ გეგონოთ ბავშთა „იგრუშკა“.

„ახალ ივერიას.“

მომილოცავს ახალ წელი
და გიცოცხლოს შენი გუცა,
რადგან შენსა „ორგანოში“
ივაჟკაცა, იფაც ფუცა.

——

და რომ რაღაც მანქანებით,
„დიკტატორიც“ თითონ გახდა,
(ეს მაწუხებს იქსაქსებით
თქვენი საქმე ძლიერ წახდა.)

——

თან მკითძველმა ვერ გაიგო:
ვის ეკუთნის ეგ „ორგანო“,
ვა თუ კიდევ აყალ მაყლდე
და ძველ მოძმეს დაემგვანო.

——

„ია“ რისთვის მოიძულე,
„ქართველების“ ივერია,
ეგეც შენი შვილი იყო
შუბლს „ქართველი“ აწერია.

——

მე გისურვებ ახალ წლისთვის,
მოგეხდინოთ შერიგება,
თან გისურვებ, რომ მიგელოთ:
ძველი სილოს დარიგება.

——

„შრომას.“

მოგილოცავ და გისურვებ
მაგ სწორი გზით სიარულსა,
რომ არ გევხართ „ივერიას“,
მუდამ ღვინით მხიარულსა.

——

„ჭდეს“.

ეი კლდეო რა გისურვო...
არ ვიცი რა მოგილოცო,
სომხებს, ქართველებს წაკიდებ,
მითხარ: შენთვის რად ვილოცო.

——

,,სახალხო ფურცელს''.

შენ სახალხო. რომ არა ხარ,
ვინ დაგარქვა ეგ სახელი?
ნეტამც ვინ გყავდა ნათლიად,
ვისგან მიიღე ნათელი?

——

,,მ შ ა კ ს''.

სომხურ გაზეთს მოულოცავ
სახელათ რომ ქვია ,,მშაკი'',
ქართული ,,კლდისა'' არ იყოს,
ესეც დიდია ,,ეშაკი''.

——

,,ო რ ი ზ ო ნ ს''.

ორიზონო მომილოცავს
ჩვეულებრივ ახალ წელი,
სომხებ-ქართველ-შოვინისტებს,
ეგებ შენ მოსტეხო წენი.

——

,,თ ე მ ს''.

დიასამიძის ორგანოს,
რომ უძახიან ,,ქართველ'' თემს,
ვუსურვებ გამოფხიზლებას
თორემ ამ ბოლოს ძლიერ თვლემს.

——

,,შადრევანს''.

ჩვენთვის ახალად დაბადებულო,
,,ავტონიასთვის'' თავდადებულო,
მომილოცნია, დროც ახლა გიჭრის
ვნახოთ ფარხმალი როგორ გაგიჭრის.

——

წ. კ. გამ. საზ. გამგეობას.

მომილოცავს ,,გამარჯვება''
და გიცოცხლოს ,,ჯაჯანოვი'',
საწევრო ფულს მოუმატებს
მშრომელ მასსას არ შეგმატებს.

კარგათ იცის შემცირებით
მუშები რომ მომრავლდება,
მაგის ფიქრით საქართველო
განსაცდელში ჩავარდება.

——

,,ზდანოვიჩს, კიტას, ყიფიანს''.

მომილოცავს თქვენ ბანაკში
საქმე ცუდათ აიწეწა,
ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს
ყველა თვისთვის გაიწეწა.

——

,,დვორიანსკი ბანკს''.

საქველმომქმედო ბანკი ხარ
ნამდვილ ამისთვის ვარგიხარ.

——

საურთ. ნდობ. საზოგადოებას.

მომილოცავს შენი წინ სვლა
და გიცოცხლოს გამგეობა,
,,დონემუას'' და ,,მენაშეს''
ლოცდეს მთელი ქართველობა.

——

,,ვოლგა-კამის ბანკს''.

მომილოცავს ახალ გამგით,
კარგათ მიდის თქვენი საქმე,
ძველი კომიტეტთა აზრი
სამუდამოთ რომა დაგმე.

——

თელ ქუთაისის ვაჭრებში
ორი არ გადარჩებოდა,
თქვენ რომ არ დახმარებოდით
ყველანი გაკოტრდებოდა.

——

დღეს კატასტროფაც რომ მოხდეს
არა რა დაგეკარგება,
კიდეც რომ ვინმემ გაბედოს
გემოთი არ შეერგება.

——

,,თბ. კომ. ბან. ქუთ. განყ.''

მომილოცავს, კიდევ კარგი,
წამოგესწრო ძველი გამგე,
თორემ ფუჭათ ჩაგივლიდა
რაც პირველათ იამაგე.

——

,,ზოვის ბანკს.

შენც სუ, მეც სუ.

——

ბათუმელ-ფოთელ ქალიშვილებს:

Спраздничкомъ.

ბულვარი თქვენი სჯობია,
აქ ყმაწვილები ჩვენია;
და ამისათვის კეკლუცნო
თქვენთვის მოსალხენია.
ამა თქვენ იცით ,,რომანებს'';
რა რიგათ გაანვითარებთ;
,,რომანში'' ხუთი თვარ გექნათ,
ისე არც ერთი ივარგებთ.

— —

სწავლა გათავებულ ბარაშნებს

მომილოცნია თქვენთვის ახალი წელი; იმდენი ვიხლაფორთე, რომ თქვენთვის მყავს გამოწერილი ერთი ვაგონი სტუდენტები, მაგრამ, ჩემდა საუბედუროთ, ბალაჯარას აქეთ არ უშვებენ ვაგონებს. არ დამლუპოთ სიტყვა არავის მისცეთ; უცადეთ მათ მოსვლას.

— —

,,მადამს''.

იწერებით: ,,როდის დამიძახებენ განათაშებულ ქალსო''. აი, მადამ ჯან, როდის. დამიგდე ყური (აგიშენდება ოჯახი კარგ რამეს შენ გაიგონებ).

საათის ხუთზე ააგდე ქმარი,
იგი გაუშვი თვის სამსახურში;
და თუმც სახარჯო ფული არ მოგცეს,
წაავლე ხელი მარცხენა ყურში.

— —

სახარჯო ფულით, გამოდი კარში,
ბავშვი, ოჯახი მსახურს დაუგდე;
ქმარს სახლში დახვდეს მსახური შენი,
კარში კავალრებს შენ ყური უგდე.

— —

ჩილინგაროვის საკანდიტროში
მიირთვი ,,კოფე'', ჩაი, ,,კაკაო'',
გამოძღე კარგათ, წაბრძანდი კლუბში,
და ითამაშე ფრაპი მაკაო.

— —

ფრაპისა შემდეგ კავალრებს გვერდში,
მოუჯექ ვახშმად, ყლურჭ მონახორი;
ვახშმითაც კარგათ რომ გაიბისტო
გადადი ბუქნა, ერთი ან ორი.

— —

„ბროგ. მასწ. ქალებს“

გილოცავთ ახალ წელს, მრავალ ამ დროს დაესწარით ტანის სიმრთელით, ჯანის სიმრთელით, ფულის მიღებით, მომასწროს თქვენს ბედნიერებას, შეგეძინოსთ სოფლათ, ოფლათ თითო ქმარი. ამასთანავე გისურვებთ მოსწავლეებისთვის კარგათ მიგეცეთ ახსნა განმარტება, თუ რა დიადი საფუძველი აქვს წმიდა სიყვარულს და "ტიომნი ალეიას".

"კ ა ს ი რ შ ე ბ ს."

მოგილოცავთ ახალ წელს შრომითა თქვენითა სჭამდეთ პურსა თქვენსა, ამასთანავე ზოგიერთ კასირშებს მიულოცავ იმ დიად მოღვაწეობას, რომლებიც ჩემისთანა მოქეიფე სტუდენტების სასარგებლოთ იღწოდენ და მათ სასარგებლოთ წვლილს აგროებდენ; ესეც ერთი სახელია ისტორიაში, მოღვაწე ქალებათ ჩეითვლებიან.

„ვ ა ჭ რ ე ბ ს."

მომილოცავს ახალწელი.
რას შემოგიჩდათ ქებაძე

ყველაფერს „ტაკსა“ დაადვა
და არ გავაჭრათ ნებაზე

ხვასტუნოვი.

ეხლანდელი სიყვარული.

როგორც მოგეხსენებათ, მოლა მასრადინა მიიპატიჟეს ერთ განათლებულ ოჯახში; მოლამ, ბევრი საქმეების გამო, ტანისამოსის გამოცვლა ვეღარ მოასწრო და შინაური ტანისამოსით ესტუმრა მასპინძელს; სტუმრები კიდევაც შემოსხდომოდენ მაგიდას; მოლამ შეაღო კარები; ეგონა დიდის ამბით მიიღებდენ და დასძახეს: „მოლა მობძანდა“ მოლა „სალამალეიქუმ“, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ ყურიც არავინ ათხოვა, მიაგდეს სუფრის ბოლოს და ერთიც არ უთხრეს მოლაჯან მიირთვით რამეო. მოლა მიხვდა რაშიც იყო საქმე, ადგა იმ წამსვე წავიდა სახლში, გადაიცვა აბრეშუმის ანაფორა, თავი თეთრი თავსრაკით შეიმოსა და მიადგა მასპინძელს. მასპინძელმა და სტუმრებმაც ფეხზე წამოდგენ და დიდის ამბით და ზეიმით მიიღეს მოლა; მეც ვიფიქრე მოლასავით არ დამემართოს ამ „პრაზნიკებზე“ მეთქი და შეუდექი მზადებას. ერთი ძველი პალტო მქონდა, ისიც შემთხვევით შარშანდელი შეძენილი (ამ პალტოში შარშან შტრინკი ყმაწვილი გახთით) წრეულ შემოდგომიდან მოყოლებული საბნათაც ვხმარობდი და პალტოთაც. ცოტა არ იყოს შეილანძღა, ფოლაქები შეუხუნდა, ნიჩბებიც შეუტხელდა, ასე რომ დავემზგავსე ძველ დემოკრატს; ვიფიქრე ვიყიდო კარგი პალტო, კარგს კარგი ფული უნდა მეთქი და მე კი ფულზე.., თქვენ თითონ, მიხვდებით ცოტა ნაწყენი ვარ. ფილოსოფიური ნათქვამია: „გაჭივრება ქმნის შეგნებას“—მეც გაჭივრებამ შემაგნებია და შეუდგები ამ პალტოს „შეპანჩიკებას“ პირველათ შეუდგები „ზაგრანიჩნი“ ფოლაქების შოვნას (ხომ იცით საქმე საპირეშია) შემოვიარე მაღაზიები და ვერსად ვერ ვიშოვე უცხო და კარგი რომ ყოფილიყვეს. მივედი „პერვოკლასნი“ გვიჩიას და ჭავჭანიძის მაღაზიაში; ვიკითხე ფოლაქები თუ არა, მომაძახეს: „ჩვენ ქალების გვაქვს, კაცების არაო;“ ერთი შეუკურთხე თქვენ და თქვენს ქალებსაც მეთქი და მივადექი ეხლად ჩამოსულ ერქომეიშვილის სავაჭროს. შემხვდა ერთი „ჩიპუხა“ ნოქარი, შეაბზიალა ხელში ფოლაქები, შეატრიალ-შემოატრიალა ისე რომ, მეც მომეწონა და ვიყიდე, რასაკვირველია, ჩემმა პარტნორიმაც მომიწონა, ჩამომართვა პალტო და მითხრა დილას მზათ იქნებაო; თანაც დაუმატა რაც გენებოს ის მიბოძეო. წამოვედი, მაგრამ ვაი იმ წამოსვლას, მომიჭირა სიცივემ, ამიტყდა კანკალი, კბილებს ერთი მეორეზე მაცემინებდა. მეკითხებოდენ ნაცნობები: „კაცო რატომ პალტო არ გაცვიაო,“ მეც მეტი ვერაფერი ვერ უთხარი: „მზიანი ამიდია და გიგიენურია მეთქი; ერთმა მართლაც დაიჯერა, გაიხადა პალტო, გაცივდა, მისცა ანთება და რომ „ესმა“ ექიმს არ ეშველა კინაღამ განუტევა საიქიოსა სული. იმ დღეს როგორც იყო გადაურჩი სიცივეს, მაგრამ რომ მოღამდა და სიცივემაც კუნთები შემიკრა, თანაც გამახსენდა საბანი, ღამე დასახურავათ, ჩავარდი საგონებელში, მეტი გზა აღარ იყო უნდა მეყიდა „ოდეალოს“ რომ ეძახიან. შევედი ერთ კარგ საფართლო სავაჭროში; შემომეგება შუა ტანის შავულვაშა (გიშერივით შავი ჰქონდა ულვაში) და ისეთ გამიტაცა, ვინაიდან ცოტა არი შავულვაშა ადამიანი, რომ რაც კი დამიფასა, მივართვი ოდეიალოში. რომ მიბრუნდა გასახვევად რა დაინახა ჩემმა თვალებმა: ულვაშების ძირში თეთრი თეთრი ღეროები მოსჩანდა; მაშინ კი მივხვდი, რომ ეს მეგრელი უნდა იყოს, რომ ულვაშები შეუღებია. მინდოდა მიმეტოვებია ნაყიდი საქონელი, მაგრამ ფული მიცემული მქონდა კასირშიზა და მეც ვეღარ შევაწუხე მშვენიერი არსება, რომელიც გალიაში აგრე იჯდა, როგორც მოშინაურებული მტრედი. რაღას ვიქმოდი წამოვიღე „ოდეალო“ იმ ღამეს დავიხურე, მაგრამ ამ ოხერმა ისე როდის გამათბო როგორც ჩემი პალტო მათბობდა. დილა გათენდა გავიქეცი „პარტნოვთან“ ბ ვნახე, მაგრა

რა ვნახე, მე ვიფიქრე მემასხრებიან მეთქი. ჩემი პალტო ისე გაემშვენიერებიათ, მეგონა გენერალ ,,ოფიცრის'' პალტოა თქო; მეც წამოვისხი განიერათ ავწიე მხრები ,,ოფიცრივით'' პარტნოვს თავისი მივეცი, გამოველ ქუჩაში, მოვნახე—ოვანეზა მეეტლე—გავიჭიმე ტყეშელაშვილის ტარანივით, კოზლაზე დავაჯინე ჩემი მეგობარი ფინია და შეუდეგ ,,კატაობას''; რომ შეგეხედათ ნამდვილი ,,კრომ-პრინცი'' გეგონებოდით.

სიმპატიის შეხვედრა.

მეორე დღეს შეველ ბულვარში, მხრები გვერდზე გადამქონდა, ხელებს ისე მივაფათურებდი გეგონებოდათ სხვის ჯიბეში რაღაცას ეძებსო, ფეხებს აგრე ვადგამდი, როგორც ორმოცდა ორი სანტიმეტრიანი ზარბაზანი; პოლუსაპოშკები რომ გამიმტვერი ანდებოდა უცფათ შარვალზე გავიკრავდი და შევაპრიალებდი, ულვაშები ისეთ გავიპიწკინე, რომ ზაფხული ყოფილიყო ბუზი წამოეგებოდა ზედ. ამ დროს მოულოდნელათ შემეჩეხა სოფელ „იდგირიდან" ჩამოსული ჩემი სიმპატია მარგარიტა (გვარს ვერ გეტყვით), გაეხარდა—გამეხარდა მეც, ერთი პატარა პროშტიც გავკარით და გაკვირებით ვკითხე რა მოგარბენიებდა ამ კარგ დღეებში მეთქი. მან მიპასუხა: მითხრეს ქუთაისს აიღებენ ამ ორი დღეში და გული კიღამ გამისკდა ვაი თუ ჩემი სიცოცხლის კლაპიტონს ,ხვასტუნოვს" რაიმე ევნოს და ბარე მეც მასთან მოვკდებითქო; ხომ იცი როგორ მიყვარხარ გენაცვალე, მაგ მოტვლეპილ თავშიო, და მიტომ გეწვიე ჩემო სიცოცხლევ." მეც, რასაკვირველია, გამეხარდა-ამხანაგიც გაჭივრების დროს უნდა და ამ სიტყვეებმა ხომ ნამდვილი ცეპელინის ფრთები შემასხა და დავაპირე ზეცაში აფრენა ჩემი მარგარიტათი. ამ დროს დედა ჩემმა ჩამავლო ხელი ქოჩორა თმაში, იმდენი მწეწა სანამ არ დამინარჩუნა თავზე ორი ღერი თმა და დაგვარიგა ორივე შვილები, ხომ თქვენ ერთ მეორე გიყვართ ზეცაში რომ მიფრინავხართ, ხომ იქ არ გინდათ ააფრინოთ სიყვარულიო. დაუჯერე რაღა გზა იყო, ზნეობრივი მოვალეობა მოითხოვდა დაგვეჯერებია, გამოვემშვიდობეთ დილა მდის ერთი მეორეს. დილას ვდგევარ ოცხელის „პროსპეკტზე", ჩამომიცქრიალა ჩემმა ცელქმა გოგონამ, მომვარდა მაგრამ რომ შემხედა გართული ვიყავი სხვებთან ბაასში, გადავიდა ბულვარდში, ჩემ პირდაპირი ჩამოჯდა და იქიდგან დამიწყო ალერსი, მიგზავნიდა „ვოზდუშნი პოცელუებს; რომ მოსწყინდა ნელა ნელა ფეხ აკრეფით აყვა ბულვარის შუა გულს, მეც ცნობის მოყვარეობამ გამიტაცა და გავყევი შორი ახლო. რას ვხედავ! გაუყრია „პოდრუჩკი" ჩემზე უკეთეს, ჩემზე ულვაშ გაპიწკინებულ ყმაწვილს და მისეირნობდენ, მიჭუკჭუკობდენ ტკბილათ. მე ვთქვი რა უყოთ ჩემს ნაცნობ ყმაწვილს მიყობა მეთქი, გავყევი კიდევ და არ გადაუხვიეს „аллея кюбьви"-საკენ: მივყევ ნელ-ნელა, მომესმა არისტოკრატიული პროშტი. წავადექი თავზე ვკითხე რას შვები მარგარიტა მეთქი? „შენს ნაცნობს ვემოსაიფებიო"! მიპასუხა მანე პროშტი მეთქი? მერე რა შენც ხომ გაუნათლებელი „მუჟიკი" არ ხარო! რაა მერე, შენს ნაცნობს ვკოცნი, უცნობს ხომ არარ; მეც შემრცხვა „Какъ можно ревновать" მოვითხოვე ბოდიში და უთხარი ნუ დაიგვიანებ მარგარიტა გენაცვალე მეთქი. მანაც შემომძახა: ,,მალე მოვალ შემოგევლე მაგ მოტვლეპილ თავზეო." სახლში არხეინად მოველ, ამაყათ ჩავთვალე თავი, განათლებულათ რომ მოვიქეცი და იქვი არ ავიღე, წამოვწექ, მარა არ დამეძინა, შევიქენი გლახათ, რაღაც გულზე მაჯმაჯურასავით მომაწვა, არ იქნა ვერ მოვასვენე. მოვაყვანიე ფერმის ქუჩიდან ექიმი ,,სტეპკო'' გამომიწერა ასპირინი, მომცა ოფლი, გადავიქეცი ძილათ, მაგრამ სულ ჩემი მარგარიტა ღა ის ყმაწვილი მელანდებოდა და ამ განსაცდელში, რომ ვარ უცებ შემომესმა ბომბების გრიალი, აურზაური. მე ვიფიქრე ესაა დაგვეცა ,,ვილგელმი'', ,ენვერ-ფაშა'', და ,,კრონ-პრინცი'' მეთქი, წამოვხტი ზეზე. მაგრამ სად გინდა გაიქცე, ვიყვირე ,,ვაი უი'' ამ დროს ,.ხაზაიკა'' შემომესწრო და მიყვირა, რა იყო რა დაგემართაო; მე უყვირე არიქა ბოვშებს უშველე მეთქი, ხომ უყურებ ჰაეროპლანებიდან ბომბებს ისვრიანთქო. ,,ხაზაიკა'' მიხვდა რაშიც იყო საქმე, დამაშოშინა

და მითხრა საქმე რაშიც ყოფილიყო. თურმე ნუ იტყვი შობის სტოლები და სკამები ზედა სართულში დამთვრალიყვენ ღა კადრიელს უვლიდენ დიასახლისის ქალიშვილის თიოსნობით. იმ ღამეს აღარ მოშეკიდა ძილი, მეორე ღამეს კიდევ არ მომეკიდა მეორე დღეს იმისთანა თქვენს მტერს, იმისთანა დღე დამადგა, მომცა სიცხე, დამაწყებინა ბოდვა, სულ მარგარიტას მაბოდებდა, ამიტყდა კვნესა; ამ უბედურებასთან ერთად ჩემი მარგარიტა სხვასთან გნაცესა (ეგეც შენი წმიდა სიყვარული): ეხლა მას შემდეგ ვწევარ ლოგინში ვეღარც ექიმმა მიშველა; უკვტები დედას შვილი, მაგრამ რა შვილი, ავთვალას არ ვენახვებოდი და ცქრიანტელა გოგოებს განგებ არ ვენახვებოდი. ეხლა ოხრათ მრჩება ის ოხერი პალტო და მე კი ვკვტები მარტო!..

„ლ ა ი ლ ა ი“.

ახალი ამბები

ჩვენებურ სტუდენტებს წამოუღიათ საზღვარ გარეთიდან ერთი კიდობანი სავსე კულტურა და ერთი კიდობანი ქიმიური გამოკვლევა, თუ როგორ უნდა დამუშავდეს ჩვენში ნედლი მასალა ტეხნიკურის განვითარებით. აგრეთვე მოუპოებიათ ბაზარი ჩვენი ამოდენა სიმდიდრისათვის რომელიც დღემდი ლპებოდა აქა ჩვენი უცოდინარობისაგამო, მაგრამ ვინაიდგან კიდობნები ეგეის ზღვაზე მომხდარან, გერმანიის წყალქვეშე მავალ ნავს აუფეთქებია. კიდევ კარგია შვიდოპით მოვიდენ თითონ და დასამტკიცებელათ ამისა ჩამოიტანეს იქაური ფეხსაცმელები და ტანისამოსი.

——

პეტრე ტალახაძეს ვინაიდგან ღვინით ვაჭრობის ნება არ მისცეს, ამისათვის ცხენებით ვაჭრობა დაუწყია რაითაც ძალიან გაანვითარებს აქაურს ვაჭრობა მრეწველობას. როგორც გავიგეთ შვიდი ცხენი მოუყვანიათ და ზურნაზე თამაშიც უსწავლებია, ცხენების გამწვრთნელათ ყოლია მექალაბნე არტემა.

სენსაციური ხმებია უპრავის ახალი პატარ ძლის შესახებ. მოგეხსენებათ ეს პატარძალი სიმონ ქეარიანი შარშან უპრავამ ითხოვა „დეორიანსკი“ გემნაზიიდან და ახლა რადგან მზითვები გოუფლანგეს ანჩხლობას აბრალებენ „რაზეოდს უპირობენ.

——

როგორც ხმები დადის ქუთაისში ჩილინგაროვის საკანდიტეროში სიეზდი აქვსთ ქუთაისის ცოლშვილიან უცოლშვილო დონ ჟუანებს შემდეგის საკითხის გასარჩევათ: 1, საკითხი: სთხოვონ სადაც, ჯერ არს, ნება ექნეთ ცამეტ და თოთხმეტ წლიანი ქალიშვილებით „აფინსკის ვეჩერის“ გამართვის. 2, ვინაიდგან არა „ლეგარულათ და შიშ ქვეშ აქვს „დომსვიდანია“ აშკარათ ექნეთ ნება რომ კანონით არ დაისაჯონ.

——

ამავე საკანდიტეროში მოხდება ზოგიერთი მადამ მადმაზელების კრება; 1, საკითხია: მიიღონ დადგენილება რომ თავიანთ ქმრებმა და დედ მამამ ნება ღართონ ამ საკანდიტეროში ჭამისა, სმისა და არშიყობისა გათენებამდი.

——

ქუთაისის სკოლებიდგან დათხოვნილ ნამოწაფეებს დაუდგენიათ: ვინაიდგან მთავრობის მიერ დათხოვნილ პირს ნება აქვს, ექვს თვეს კიდევ ატარონ ფორმის ტანისამოსი ამისათვის ჩვენც ნება გვექნეს ექვსი თვიდგან წლამდის ფორმა ვატაროთო ვინაიდგან მეტი „პერიოდი“ გვექნება საარშიყოთ ქალიშვილებშიო. (ჩემის აზრით კაი დოუდგენიათ წინარი მათი საქმე).

——

როგორც ხმა დადის ამ მოკლე ხანში ლექციას წაიკითხავს ნამოწაფარი კოლია შემდეგს თემაზედ: მოწაფის ქუდი, მოწაფის ფორმის ტანისამოსი, ქალების ხელზედ კოცნა, ზურნა, დოლი, ორი ბოთლი ლვინო და მათი მნიშვნელობა ამ ომიანობის დროს.

საზღვარ გარეთიდან:

ქუთაისში დაბრუნდა ჩვენი მცხოვანი ქველმოქმედი კოწია ბოკუჩავა და როგორც გადმოგვცემენ ის ამ მოკლე ხანში, მამამისს თავზე

საქველმოქმედო აზრით „სკეტინ-რინგს“ მართავს, იმედია ამ სამაგალითო აზრს ბევრი ჩვენი თავგასვლეპილნი დაუთმობენ თავიანთ თავებს, მაგალითად, როგორიც არის ოც... და სხვანი და ამით ხელს შეუწყობენ ზემოდ ხსენებულ საქმის გაძლიერებას.

— —

ახლად დანიშნული პროკურორის თანაშემწე, „ალექსანდრე ნემსიწვეროვი“ მოსალოდნელ უბედურების ასაცდენათ ბერუჩევის, ისაიას და გოგიტას დახმარებით, სუდი გოჭოურაზედ გადააქვს.

დაბა ჭრებალო

აქ ერთი თვეზეთ მეტი იქნება რაც მაღლა „ფიფლოტიკიდგან“ საოცარი ბღუილი მოისმის იზეზი თან და თან ირკვევა, როგორც ამბობენ აქარი ძმა ბიჭების „ბოთლ ქვეშ“ ტკბილი მუსაიფის შედეგი ყოფილა.

— —

ამ მოკლე ხანში მოხდება მეცხრამეტე არჩევნები წვრილ საკრედიტო ამხანაგობისა ყუთს იდგამს კურო, კოსტა ევდოკიმოვი, და ჩემო ძმაო, როგორც მოსალოდნელია ეს არჩევნები დიდ მითქმა მოთქმას გამოიწვევს ნიკიას სამიკიტნოშიდ.

რკინის გზის გაყვანა

როგორც იქნა და ეშველა ჩვენს უბედურს რაჭა ლეჩხუმს. ჩვენმა დაუღალავმა მხცოვანმა მუშაკმა დიასამიძემ დეპეშით აცნობა აქაურ გამოჩენილ „სარდალო პოდრაჩიკს“, რომ მან უკვე დიდი ზომები მიიღო ჭრებალომდის გზის გაყვანის შესახებ, თუ მის საქმეს, რასაკვირველია, სოლომონა მჭედელი ხელს შეუწყობს.

ზოზი.

რედაქციისაგან.

ვაცნობებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ეს ალმანახი ექსპრომტათ არის შედგენილ გამოცემული და მასთანვე არავითარი დამოკიდებულება არა აქვს არც ერთ გაზეთის რედაქციასთან.

ჩვენი ფოსტა:

კოლიას: იწერებით ამ სამ დღეში, ნადია მურლულშიდ დეიბრიდებაო მერე და შეკაიკაცო, რა ჩვენი ბრალია უფრო ლე პიკერ-ჩხიკინის საქმეა.

— —

ცოცოჯოს. მივიღეთ თქვენი შიშით სავსე წერილი; რამ აგაღელვათ? „ენვერ-ფაშა“ ჯერ შორს არის და თუ მაინც და მაინც, გული არ გიჯერებს, ტერტერასი არ იყოს, მოუსვი ბაქოსკენ.

— —

სადმელედ კატუნის: აქაური „უჩიტელნიცები“ ერბაშათ დასაღდაო, რა უყოთ მოსავალია, არც შენ დარჩები ობლათ.

გამომცემელი ს. ძიძიგური.

ქუთაისი. სტამბა **ი. ხ**ელაძის